სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება № 299/06

ქ. თბილისი **17 მაისი 2013 წელი**

ერთის მხრივ ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით ჩომახიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „იუ-ჯი-თი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ერმილე სულაძის სახით, „სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 07 მარტის №8 ბრძანების თანახმად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20^2 მუხლის შესაბამისად, პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების მიზნით, 2013 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON130000012) (შემდგომში - კონსოლიდირებული ტენდერი) შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ტემპუსის პროექტის, კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის განვითარება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების ტრეინინგში - **„Development of an International Model for Curricular Reform in Multicultural Education and Cultural Diversity Training" (№530175-TEMPUS-1-2012-1-IL-TEMPUS-JPGR;** საგრანტო ხელშეკრულება №2012-3366; რეგისტრაციის №428, 07.12.12; პროექტის კოორდინატორი იზაბელა პეტრიაშვილი) დაფინანსების ფარგლებში, პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერის შესყიდვა (CPV 30213100).

2.2 შესყიდვის ობიექტის მოცულობა და ღირებულება:

№	შესყიდვის ობიექტი და ძირითადი მახასიათებლები	სურათი	განზომილების ერთეული	რ-ბა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	**HP Pro Book 4540s Notebook PC** **Display:** 15.6 LED HD SVA AG fCAM **Camera:** WEBCAM Integrated 720p HD **OS:** SuSE Linux **Processor:** Intel Core i5-3230M Dual Core **Memory:** 4GB 1333MHz DDR3 1DM **HDD:** 320GB 5400RPM **ODD:** DVD+/-RW SM DL **Battery:** 6 Cell 47 WHr **Communication:** Ralink 802.11bgn 1x1 +BT WW **AC Adapter:** 65 Watt Smart nPFC AC **Warranty:** 3 Years		ცალი	1	668,65	668,65

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 668,65 (ექვსასსამოცდარვა ლარი და 65 თეთრი) ლარს.

2.4 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დ.ღ.გ-ს გარეშე.

3. გარანტია

3.1 შესყიდვის ობიექტის სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვრება მიწოდებიდან *3 (სამი) წლის ვადით*, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირებას მიმწოდებელი განახორციელებს საკუთარი რესურსებით) აღმოფხვრას, ექსპლუატაციის

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

პროცესში გამოვლენილი ხარვეზები (წუნი), გამოვლენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. თუ საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში შესყიდვის ობიექტში გამოვლენილი წუნი (ხარვეზი) არ ექვემდებარება აღმოხვრვას (შეკეთებას), მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს აღნიშნული წუნდებული შესყიდვის ობიექტის შეცვლა ახლით გამოვლენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

4. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა, ადგილი და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

4.2 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი; ჭავჭავაძის გამზ. №1

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს ა(ა)იპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსპექტირების ჯგუფი.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესასყიდი საქონლის ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე,

5.3 ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება იწარმოებს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი სასაქონლო ზედნადებისა და ხელშეკრულების მე–5 მუხლით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტით.

6.2 მოსაწოდებელი შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად ა(ა)იპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსპექტირების ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

7.2 ანგარიშსწორება იწარმოებს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების და/ან შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის გამოწერიდან და ინსპექტირების ჯგუფის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ 5 სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ლეპტოპის მიწოდებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8.3 პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების მიზნით, 2013 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON130000012) სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგად გამარჯვებულ მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) კომპიუტერის საორიენტაციო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

9.5 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 9.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს აღნიშნულის შესახებ.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დადების თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება – ,,მიმწოდებელთან", ორი – ,,შემსყიდველთან".

14. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	**შპს ,, იუ-ჯი-თი"**
მისამართი:	**მისამართი:**
ქ. თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ. №1	ქ. თბილისი; ჭავჭავაძის გამზირი №17ა
საბანკო რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:**
[illegible]	სს „საქართველოს ბანკი"
	ა/ა N GE88BG0000000261644601
	ბანკის კოდი: BAGAGE22
საიდენტიფიკაციო კოდი:	**საიდენტიფიკაციო კოდი:**
204864548	204892964
თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:	**შპს ,, იუ-ჯი-თი"**
	დირექტორი:
/დ. ჩომახიძე/	/ე. სულაძე/